დადგენილება № 06/2024 “სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ” თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის # 08/2024 დადგენილების დამტკიცების თაობაზე

დადგენილება #06
თარიღი: 21 თებერვალი, 2024 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, ‘‘უმაღლესი განათლების შესახებ‘‘ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ.ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების‘‘ მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ო[1]‘‘ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის წარდგინებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 21 თებერვლის №5 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს “სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ” თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 თებერვლის # 08/2024 დადგენილება თანდართული სახით.
2.დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე tsc.edu.ge;
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი,№64);
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნათია ქავთარაძე

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი